პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 34 (10120) | ხუთშაბათი, 10 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, 9 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სალამოს სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ა. ბულგანინმა.

დეპუტატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს დეკლარაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი, რომელიც მიმართულია ყველა სახელმწიფოს ხალხებისა და პარლამენტებისადმი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# დეკლარაცია

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოსი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს თავის მოვალეობად მიაჩნია ყველა სახელმწიფოს ხალხთა და პარლამენტთა ყურადღება მიაქციოს იმ მდგომარეობას, რომელიც იქმნება ევროპაში, აზიაში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა რაიონებში და ზევრად აძლიერებს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას და საფრთხეს ხალხთა უშიშროებისათვის.

ევროპაში იქმნება ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფებანი, რომლებიც მიმართულია ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ხორციელდება საშიში პოლიტიკა გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა, რომელმაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ გააჩაღა მსოფლიო ომი, რამაც აურაცხელი უბედურება მოუტანა ხალხებს.

იქმნება საშიშროება, რომ ევროპა შეიძლება გადაიქცეს ახალი ომის ასპარეზად. ასეთი ომი გარდუვალად გადაიქცევა ახალ მსოფლიო ომად.

აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში შექმნილმა ვითარებამ აგრეთვე არ შეიძლება არ გამოიწვიოს შეშფოთება მშვიდობის ბედისათვის. ყველა ხალხის ვალია აქაც არ დაუშვან ომი, დაიცვან აზიის ხალხთა ეროვნული უფლებები, მათი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

გამალებული შეიარაღება და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მოწყობა, რაც თან სდევს სამხედრო ბლოკების შექმნის პოლიტიკას, გრძელდება და აძლიერებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დაძაბულობას.

ხალხთაგან მალულად ამზადებენ ატომურ ომს. ამასთან ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ გამანადგურებელი ატომური ომი გამოიწვევს კოლოსალურ ნგრევას და ადამიანთა უთვალავ მსხვერპლს, განსაკუთრებით ისეთ სახელმწიფოებში, სადაც ყველაზე დიდია მოსახლეობისა და მრეწველობის კონცენტრაცია მცირე ტერიტორიებზე.

მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუშვებლად ცნო ომის პროპაგანდა და დაგმო იგი, ზოგიერთ ქვეყანაში გაისმის აშკარა და ალვირახსნილი მოწოდებანი ახალი ომისაკენ, ატომური იარაღის გამოყენებისაკენ, და ეს წინააღმდეგობას არ ხვდება.

ყოველივე ეს მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, გაამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ისეთი მაღალი მიზნებისაკენ, როგორიც არის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ევროპაში, მიმართულია სხვა ხალხების საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის აღმოფხვრისაკენ, რასაც ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისათვის შორეულ აღმოსავლეთში.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას. საჭიროა დაუყოვნებლივ გადაწყდეს შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და, უწინარეს ყოვლისა, დიდი სახელმწიფოების შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების საკითხი. ატომური და მასობრივი მოსპობის ყველა სხვა სახეობის იარაღი უნდა აიკრძალოს. შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის, დიდსა და მცირე სახელმწიფოებს შორის, ემყარებოდეს ისეთ საერთაშორისო პრინციპებს, რომლებიც შეესაბამება მშვიდობიანი, წყნარი ცხოვრების პირობებში ხალხებს შორის მეგობრული თანამშრომლობის განვითარების ინტერესებს.

საჭიროა, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ემყარებოდეს თანასწორობის პრინციპებს, საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, თავდაუსხმელობას და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე უარის თქმას, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემას.

დაცვა ამ პრინციპებისა, რომლებიც უკვე დაუდეს საფუძვლად სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიც არიან საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი და მთელი რიგი სხვა სახელმწიფოები, უზრუნველყოფს სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ხალხები სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებით. მათ სრული შესაძლებლობა აქვთ არ დაუშვან ახალი ომი, რადგან მშვიდობის ძალები განუხრელად იზრდებიან და უკვე ახლა უფრო ძლიერნი არიან აგრესიისა და ომის ძალებზე.

ემყარება რა თავის ხალხთა ურყევ ერთიანობას და თავის დაუშრეტელ რესურსებს, საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უზრუნველყოს თავის მოქალაქეთა მშვიდობიანი შრომა და დაიცვას ისინი გარედან ყოველგვარი ხელყოფისაგან. სხვა ხალხები, ისე როგორც წინათ, საბჭოთა სახელმწიფოს სახით ჰპოვებენ მტკიცე, უძლეველ დასაყრდენს მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ პარლამენტებს ეკისრებათ უდიდესი პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. სწორედ ისინი იღებენ საკანონმდებლო აქტებს ომისა და მშვიდობის საკითხებზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ პარლამენტებს შორის უშუალო ურთიერთობის დამყარება, საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა, ერთი ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციების გამოსვლები მეორე ქვეყნის პარლამენტში შესაბამისი იქნება ხალხთა მისწრაფებებისა მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და თანამშრომლობისაკენ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო გულწრფელად მიესალმება სხვა სახელმწიფოთა პარლამენტების ყოველ ნაბიჯს, მიმართულს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 9 თებერვალი.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენ მე დიდი პატივი დამდეთ და ნდობა გამომიცხადეთ, დამნიშნეთ რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მადლობას გიძღვნით, ამხანაგებო, პატივისათვის და სიტყვას გაძლევთ, რომ მთელ ძალღონეს მოვახმარ იმას, რომ გავამართლო თქვენი ნდობა. (ტაში).

ნება მიბოძეთ შევჩერდე მინისტრთა საბჭოს მომავალი საქმიანობის ძირითად საკითხებზე.

უწინარეს ყოვლისა, მე უნდა აღვუთქვა უმაღლეს საბჭოს, რომ მინისტრთა საბჭო მთელ თავის საქმიანობაში კვლავაც განუხრელად განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შეიმუშავა კომუნისტურმა პარტიამ (ტაში) და მხურვალედ მოიწონა ჩვენმა ხალხმა — კომუნისტური საზოგადოების აშენების, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის განმტკიცების პოლიტიკას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების პოლიტიკას. (ტაში).

ასეთი პოლიტიკის განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომ აყვავებას და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მშრომელთა ცხოვრების ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესების კეთილშობილურ ამოცანას კი მუდამ ემსახურება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი საქმიანობა.

ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საფუძველი მუდამ იყო და კვლავ არის მძიმე მრეწველობა, რომლის პროდუქცია ამჟამად თითქმის სამნახევარჯერ უფრო მეტია, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ჩვენი დიდადგანვითარებული მძიმე მრეწველობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ისტორიული მონაპოვარია. როგორც ცნობილია, მძიმე მრეწველობამ სახელოვანი სამსახური გაუწია სოციალიზმის აშენებისა და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეს. მძიმე ინდუსტრია ჩვენი ქვეყნის ურყევი თავდაცვისუნარიანობისა და ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალების ძლიერების საფუძველია. გაიხსენეთ, ამხანაგებო, დიდი სამამულო ომის მრისხანე წლები. ჩვენ რომ მაშინ არ გვქონოდა მძლავრი ეკონომიური ბაზა — ჩვენი მძიმე მრეწველობა, ვერ გავიმარჯვებდით თავით ფეხთამდე შეიარაღებულ მტერზე. მძიმე ინდუსტრიამ უზრუნველყო ჩვენი თავისუფლება და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა.

მძიმე მრეწველობა უზრუნველყოფს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის: სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებას და ამით იგი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის წყაროს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ წინ წავწიოთ სოფლის მეურნეობა, რომელიც ნედლეულს აწვდის მსუბუქ მრეწველობას, საჭიროა საკმაო რაოდენობით მოვამარაგოთ იგი ტრაქტორებით, კომბაინებითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. მხოლოდ მძიმე მრეწველობას შეუძლია მოგვცეს ყოველივე ეს.

მძიმე მრეწველობის განვითარების საქმეში ჩვენ მუდამ ვახორციელებდით და განვახორციელებთ დიდი ლენინისა და მისი საქმის ერთგული განმგრძობის ი. ბ. სტალინის მითითებებს. მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ხაზი, რომელიც დაიცვა პარტიამ კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტურის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში, გამართლებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მთელი მსვლელობით. იგი შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს და ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებს.

ამიტომ ეკონომიურ დარგში მთავრობა კვლავაც მტკიცედ განახორციელებს კომუნისტური პარტიის გენერალურ ხაზს, რომელიც ითვალისწინებს მძიმე მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას. (ხანგრძლივი ტაში).

მთავრობის უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც შემუშავებულია კომუნისტური პარტიის მიერ და რომელთა მიზანია უზრუნველყოფილ იქნას დაკმაყოფილება მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილებებისა კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე.

ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს დადგენილებას, რაც მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ დამთავრებულმა პლენუმმა, რომელმაც დასახა ამოცანა — უახლოეს ხუთ-ექვს წელიწადში მარცვლეულის ყოველწლიური მოსავალი ავიყვანოთ სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება გავადიდოთ ერთიორად და უფრო მეტად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა გზები და საშუალებები, რომლებითაც შეიძლება მიღწეულ იქნას ამ საყოველთაო-სახალხო ამოცანის გადაწყვეტა. ამ საშუალებათა შორის, მოსავლიანობის გადიდებასა და მოსავლის აღების დროს მისი დანაკარგის შემცირებასთან ერთად, ყველაზე ხელმისაწვდომი და სწრაფი საშუალებაა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. უკვე 1956 წელს ნათესები ამ მიწებზე სულ ცოტა 28-30 მილიონი ჰექტარი იქნება. მარცვლეულის წარმოების უდიდესი რეზერვია აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში სიმინდის ნათესების გაფართოება სამნახევარი მილიონიდან 28 მილიონ ჰექტარამდე. მარცვლეულის და განსაკუთრებით ისეთი დიდმოსავლიანი კულტურის, როგორიც არის სიმინ-



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი

* * *

დი, წარმოების გადიდება საშუალებას მოგვცემს ძირეულად გადავწყვიტოთ მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნის საკითხი.

სოფლის მეურნეობაში ხუთი-ექვსი წლის მანძილზე ასეთი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა სავსებით რეალურია და ძალუძს ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ამისათვის საჭიროა დავრაზმოთ კოლმეურნე გლეხობის, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი, რათა ახალ, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურა უახლესი ტექნიკისა და შრომის იმ მოწინავე მაღალნაყოფიერი მეთოდების ბაზაზე, რომლებსაც სრულყოფილად არიან დაუფლებულნი ჩვენი სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

ცნობები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის, მოწმობენ, რომ ქალაქებისა და სოფლების მშრომელები მხურვალედ იწონებენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და მზად არიან განახორციელონ იგი. პარტიული და საბჭოთა ორგანოები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული საყოველთაო-სახალხო ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლას და თავის მხრივ ყველაფერი გააკეთონ, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ ეს ამოცანა შესრულდეს.

მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე გაფართოვდება სახალხო მოხმარების საგნების: ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კვების პროდუქტების, საოჯახო საგნებისა და მოსახლეობის კულტურული მომსახურების საგნების წარმოება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას, კიდევ უფრო მივუახლოოთ მეცნიერება კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების გადაწყვეტას, კიდევ უფრო ავამაღლოთ მისი როლი ტექნიკური პროგრესის განხორციელებასა და სოციალისტური კულტურის აყვავებაში.

ყველა ის ამოცანა, რომლებიც დავსახელე სახალხო მეურნეობის დარგში, აგრეთვე ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, როგორიც არის რკინიგზის, წყლისა და სხვა სახეობის ტრანსპორტის შემდგომი განვითარება, საბინაო მშენებლობის გაფართოება, ვაჭრობის ყოველი ღონისძიებით განვითარება, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის საქმის გაუმჯობესება და სახალხო განათლების განვითარება, თავის კონკრეტულ გამოხატულებას ჰპოვებენ მეექვსე ხუთწლიან გეგმაში, რომელიც წელს უნდა შემუშავდეს.

ამხანაგო დეპუტატებო!

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში ჩვენი უახლოესი ამოცანაა მიმდინარე წლის — მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმის შესრულება.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის სახელმწიფო გეგმით მრეწველობის საერთო პროდუქციის მთელი მოცულობა 1954 წელთან შედარებით დასახულია გადიდდეს 9 პროცენტზე მეტით. მრეწველობის პროდუქცია მიმდინარე წელს 80 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე 1950 წელს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთწლიან გეგმას მრეწველობაში ჩვენ ვადამდე შევასრულებთ.

კიდევ უფრო მეტი ოდენობით გაიზრდება მძიმე ინდუსტრიის პროდუქცია: იგი ხუთწლედის მანძილზე გადიდდება 84 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით გაიზრდება სარკინიგზო, საავტომობილო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა.

სოფლის მეურნეობაში უკვე წელს უნდა განხორციელდეს სერიოზული მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად. გეგმით დასახულია მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოება.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რესურსების გადიდება, რაც 1955 წლის გეგმით არის გათვალისწინებული, უზრუნველყოფს იმას, რომ შემდგომ გაფართოვდეს სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, რაც 1950 წელთან შედარებით გაიზრდება 71 პროცენტით.

1955 წელი ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების წელი იქნება. ნაციონალური შემოსავალი შარშანდელთან შედარებით გადიდდება 10 პროცენტით. გაიზრდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი, გადიდდება გლეხთა ნატურალური და ფულადი შემოსავალი, გაფართოვდება საბინაო მშენებლობა.

სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე წლის გეგმის შესრულება მოითხოვს არსებული შინასამეურნეო რეზერვების მაქსიმალურ მობილიზაციასა და უკეთ გამოყენებას და მთელი ჩვენი ხალხის დაძაბულ შრომას.

გეგმით დასახული ამოცანების გადაწყვეტაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას. შრომის ნაყოფიერების ზრდა სახალხო მეურნეობის პროდუქციის გადიდების, თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვებათა ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მაგრამ მთელი პირდაპირობით უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეში ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

არ შეიძლება, ამხანაგებო, დავივიწყოთ ვ. ი. ლენინის მითითება შრომის ნაყოფიერების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე ახალი საზოგადოების მშენებლობაში. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მხოლოდ მთელი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების შესაბამისად შეგვიძლია გავადიდოთ სახალხო მოხმარება.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა ტექნიკური შეიარაღებისა და შრომის შემსუბუქებისათვის, მშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ეს მუშაობა კვლავაც უნდა ვაწარმოოთ. საჭიროა გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია წარმოებაში და უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში 1955 წლისათვის დაწესებული დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, გვექნება რა მხედველობაში, რომ ეს დავალება მინიმალურია.

ჩვენს წინაშე დასახული სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოწინავე ტექნიკის ფართოდ დანერგვაზე. ტექნიკის დარგში ჩვენი წარმატებები უდავოა. ატომის ენერგიის პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის ამუშავებით, რომელიც დაპროექტებული და აშენებულია საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების ღონისძიებებით, ჩვენმა ქვეყანამ რეალური ნაბიჯი გადადგა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების საქმეში. როგორც გამოცხადებული იყო, ჩვენში ხორციელდება მუშაობა ატომის ენერგიით მომუშავე მნიშვნელოვნად უფრო მძლავრი ელექტროსადგურების შესაქმნელად.

მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ჩვენი წარმატებები ტექნიკური პროგრესის დარგში, მაინც სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრი სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია ჩამორჩება თანამედროვე მსოფლიო ტექნიკის დონის შესაბამისი დიდი წარმადობის მანქანებისა და წარმოების მეთოდების შემუშავების საქმეში, ხოლო საწარმოები — მათ ათვისებასა და სახალხო მეურნეობაში ფართოდ დანერგვაში. საჭიროა გამოვასწოროთ ეს საქმე. უნდა გავაუმჯობესოთ სამინისტროების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მუშაობა ამ მიმართულებით, რათა ტექნიკური პროგრესი ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით ჩქარდებოდეს. მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები პასუხს უნდა აგებდნენ ამ მოთხოვნათა შესრულებისათვის, როგორც მნიშვნელოვანი სახელმწიფო დავალების შესრულებისათვის.

წარმატებითი სამეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი პირობაა სახელმწიფო მატერიალური რეზერვები. რეზერვები ჩვენი ძლიერებაა, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაა.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

(დასასრული)

ამიტომ მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა შეგვესუსტებინა ყურადღება ამ უმნიშვნელოვანესი საქმისადმი ან ავყოლოდით ცდუნებას და გადაგვეწყვიტა კერძო, მიმდინარე ამოცანები სახელმწიფო რეზერვების ხარჯზე. ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გავადიდოთ ნედლეულის, მასალების, სათბობის, სამრეწველო და სასურსათო საქონლის სახელმწიფო რეზერვები.

პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს დიდ საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკისა და რაიონის ყოველმხრივი ეკონომიური და კულტურული განვითარების პოლიტიკას. უკანასკნელ დროს ზოგიერთი საერთო-საკავშირო სამინისტრო გადაკეთდა საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ. ამასთან დაკავშირებით საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი საკავშირო დაქვემდებარებიდან გადაცემულ იქნა საკავშირო-რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში. გამოიყენებენ რა ახალ, უფრო ფართო შესაძლებლობებს, მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი ხელმძღვანელობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ყველა სამინისტროს, საწარმოს, მშენებლობისა და სამეურნეო ორგანიზაციისაგან მოითხოვს მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელებას, თვითღირებულების შემცირებისა და დაწესებულ დაგროვებათა უზრუნველყოფის საკითხებისადმი ყოველდღიურ ყურადღებას.

ჩვენ მოვალენი ვართ მივაღწიოთ სახელმწიფო აპარატის შემდგომ სრულყოფასა და გაიაფებას და გავაუმჯობესოთ მისი მუშაობა, აღმოვფხვრათ ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები, ავამაღლოთ ორგანიზატორული მუშაობის დონე და გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის მმართველობის ყველა რგოლში. აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გადამწყვეტი პირობაა ის, რომ ყველა ხელმძღვანელს, დიდსა და მცირეს, ჩავუნერგოთ ახლის, მოწინავის, პროგრესულის გრძნობა, ფართოდ გამოვიყენოთ მშრომელი მასების ინიციატივა, ყველა ღონისძიებით გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლია, რომელთა აღმოფხვრა მნიშვნელოვან ღონისძიებებს მოითხოვს ჩვენგან. სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხზე აქ გამოსულმა დეპუტატებმა გააკეთეს მთელი რიგი სწორი კრიტიკული შენიშვნები სამინისტროებისა და უწყებების მიმართ. მთავრობა შეისწავლის დეპუტატების გამოსვლებს და მიიღებს საჭირო ზომებს მათ მიერ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამხანაგო დეპუტატებო!

გუშინ თქვენს წინაშე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხანაგმა მოლოტოვმა. მის მოხსენებაში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის სწორი ანალიზი და ამომწურავი სისრულით ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთსულოვნად მოწონება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ეს პოლიტიკა გამოხატავს ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებს. ამასთან, ეს პოლიტიკა შეესაბამება არა მარტო ჩვენი ხალხის, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნების ხალხთა მისწრაფებებსა და იმედებს.

ხალხებს იმაზე უფრო ძლიერი მისწრაფება არა აქვთ, ვიდრე მშვიდობისადმი მისწრაფებაა.

საბჭოთა მთავრობა მთელი თავისი საქმიანობით ადასტურებდა და ადასტურებს, რომ იგი მშვიდობის მომხრეა და იცავს მშვიდობის საქმეს, რომ მას განუწყვეტლივ შეაქვს წვლილი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ყველა ხალხთან ნორმალური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

სხვა სახელმწიფოებთან ჩვენი ურთიერთობა ემყარება იმას, რომ ვხელმძღვანელობთ პრინციპით — ხელი შევუწყოთ მშვიდობის განმტკიცების საქმეს და ამავე დროს დავიცვათ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. ჩვენ ვემხრობით ისეთ მოლაპარაკებას და ვაღწევთ სხვა ქვეყნებთან ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც შეანელებენ დაძაბულობას საერთაშორისო ურთიერთობაში. თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველი მოლაპარაკება შეიძლება წარმატებით დამთავრდეს, თუ ამ მოლაპარაკების მონაწილე მეორე მხარის მისწრაფებაც ასეთი იქნება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს თანამედროვე პირობებში ერთადერთი რეალური გზაა, რომელსაც შეუძლია დადებითი შედეგები მოგვცეს.

საბჭოთა მთავრობა კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცების პოლიტიკას, რომელმაც გაამართლა თავისი დანიშნულება და შემოწმებულია პრაქტიკით, ყველა ხალხთან მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკას.

საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციას და ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის დამყარება დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის. ყოველი ქვეყანა თავისუფლად უნდა ყიდდეს იმას, რაც მას შეუძლია, და ყიდულობდეს ყველაფერს, რაც მას ესაჭიროება, სხვა ქვეყნებში სრულიად უდისკრიმინაციოდ.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ჩვენ ვემხრობით ფართო ვაჭრობას ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებისა. ყველასათვის ნათელია, რომ ისეთი ვაჭრობის მოუწყობლად, რომელიც ურთიერთ ინტერესებს ითვალისწინებს, შეუძლებელია ნორმალური ურთიერთობა ქვეყნებს შორის. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება და საქმიან ეკონომიურ თანამშრომლობაში ზღუდეების აღმოფხვრა ბევრად შეუწყობს ხელს ურთიერთობის გაუმჯობესებას სახელმწიფოთა შორის.

ჩვენ გვჯერა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არიან ჯანსაღი ძალები, რომლებიც იპოვნიან საშუალებას გააუმჯობესონ ურთიერთობა ქვეყნებს შორის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი მშვიდობიანი ქვეყანაა. იგი არავის არ ემუქრება და არ აპირებს ვინმეს თავს დაესხას. ჩვენ ვცდილობთ განვავითაროთ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, რომელსაც სურს ასეთივე ურთიერთობა ჰქონდეს საბჭოთა კავშირთან.

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომის წლებში სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის არსებობდა მჭიდრო თანამშრომლობა, რომელსაც შემდეგ საფრანგეთიც შეუერთდა. ამ თანამშრომლობამ, როგორც ცნობილია, დადებითი შედეგები მოიტანა. ეს თანამშრომლობა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ახლაც, მშვიდობიან დროს. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა არა ჩვენი მიზეზით. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს თავისი ურთიერთობა ჩვენთან ააგოს არა ურთიერთ გაგების ბაზაზე, არამედ „ძალის პოზიციის" პოლიტიკის საფუძველზე. ასეთი პოლიტიკა საშიში პოლიტიკაა, იგი იწვევს არა თანამშრომლობას, არამედ ურთიერთობის გამწვავებას, არა შეიარაღების შემცირებას, არამედ გამალებულ შეიარაღებას და შეიცავს ახალი ომის გაჩაღების საფრთხეს.

არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა და მათი მზადება ახალი ომის გასაჩაღებლად. შეერთებული შტატებისა და მათზე დამოკიდებული ქვეყნების რეაქციული წრეები ცდილობენ აღორძინონ გერმანიის მილიტარიზმი და დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში შეიყვანონ რემილიტარიზებული დასავლეთი გერმანია. ისინი აზიაშიც აკოწიწებენ სამხედრო ბლოკებს, აწყობენ საომარ პროვოკაციებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ერევიან მის საშინაო საქმეებში.

ამერიკის მთავრობა დაადგა ტაივანის რაიონში მდგომარეობის გამწვავების საშიშ გზას. იგი აძლიერებს იქ თავის სამხედრო ძალებს — ფლოტსა და ავიაციას და განაგრძობს ომის პროვოცირების პოლიტიკის წარმოებას. ანგარიში არ გაუწიეს რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებებს და ფეხქვეშ გათელეს რა საერთაშორისო შეთანხმებანი, შეერთებულმა შტატებმა ხელთ იგდეს ჩინეთის ტერიტორიის ძველისძველი, განუყოფელი ნაწილი — კუნძული ტაივანი და გადააქციეს იგი შორეულ აღმოსავლეთში საომარი პროვოკაციების კერად.

გაკვირვებას იწვევს ის პოზიცია, რომელიც უკავია ამ საკითხში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. მან აქამდე არ დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება ჩინეთის წინააღმდეგ, არ მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუყოვნებლივ გაიყვანონ თავიანთი შეიარაღებული ძალები ტაივანიდან და აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებები.

ჩინეთის მთავრობის პოლიტიკა ამ საკითხში იწვევს სრულ მოწონებასა და მხარდაჭერას ჩვენი მხრივ. (ტაში). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იმიტომ იწვევს საბჭოთა ხალხებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის თანაგრძნობას, რომ იგი ბრძოლას ეწევა სამართლიანი საქმისათვის, თავისი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ კეთილშობილურ საქმეში ჩინელ ხალხს შეუძლია ჰქონდეს თავისი ერთგული მეგობრის — დიდი საბჭოთა ხალხის დახმარების იმედი. (ხანგრძლივი ტაში).

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ აფართოებენ თავიანთი სამხედრო ბაზების ქსელს მშვიდობისმოყვარე ქვეყნების გარშემო და აწარმოებენ გაძლიერებულ გამალებულ შეიარაღებას. ამასთან ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ატომური იარაღის განვითარებას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დიდი ხანია გამეფებულია ომის ისტერიის ატმოსფერო. პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები წამდაუწუმ გამოდიან აგრესიული განცხადებებითა და მუქარით. ზოგიერთმა მათგანმა იმდენად აიშვა თავი, რომ აშკარად მოუწოდებს გამოიყენონ ატომური იარაღი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში.

წესრიგისაკენ უნდა მოვუწოდოთ იმ უგუნურებს, რომლებიც ატომურ ბომბს აღარუნებენ. ამას მოითხოვენ ხალხები და არ შეიძლება მას ანგარიში არ გაუწიოს ყოველი ქვეყნის მთავრობამ. (ტაში).

კაპიტალისტური ბანაკის აგრესიული ძალების პოლიტიკა მოუმზადებელს ვერ მოუსწრებს ჩვენს ხალხებს. აგრესორები ალბათ სერიოზულად ფიქრობენ, რომ რაც უფრო მეტად დაგვემუქრებიან, მით უფრო მეტად შეგვაშინებენ. ჩვენ ბევრი სხვადასხვა მუქარა გვსმენია, მაგრამ საბჭოთა ხალხი მშიშარა როდია, და მას ვერავინ შეაშინებს. (ხანგრძლივი ტაში).

შექმნილ ვითარებაში საბჭოთა კავშირი კვლავაც იდგება მშვიდობის სადარაჯოზე და გააძლიერებს თავის თავდაცვისუნარიანობას. საბჭოთა კავშირის მთავრობა განამტკიცებს თანამშრომლობას და ძმურ მეგობრობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სახალხო დემოკრატიის ყველა სხვა ქვეყანასთან, იბრძოლებს გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე, გააფართოებს და განამტკიცებს საქმიან ურთიერთობას და კულტურულ გაცვლას ყველა ქვეყანასთან, რომლებსაც ნორმალური ურთიერთობა აქვთ საბჭოთა კავშირთან.

რა შეიძლება ითქვას იმ არაშორსმჭვრეტელ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარეობას თითქმის ჩვენი სისუსტის გამოვლინებად თვლიან? მათ უწინარეს ყოვლისა უნდა გავახსენოთ ისტორიის ახლო წარსულის გაკვეთილები, ჰიტლერელ დამპყრობთა ბედი. ცნობილია, რომ იყვნენ სხვა ავანტიურისტებიც — ჩვენი სამშობლოს ხელმყოფნი. ისინი ყველანი სამარცხვინოდ ილუპებოდნენ. (ტაში). ჩვენს ხალხს მუდამ შეეძლო საკუთარი თავის დაცვა და გამანადგურებელ ლაზვარს სცემდა იმათ, ვინც ხელყოფდა მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ასე იქნება კვლავაც. (ხანგრძლივი ტაში).

ისევე როგორც წინათ, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს მტკიცედ და განუხრელად ვახორციელებდეთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძს — მუდამ ფხიზლად ვიყოთ და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდეთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვისუნარიანობას. (მქუხარე ტაში).

დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიამ ცხადყო თავისი უპირატესობა მოწინააღმდეგის არმიაზე, ხოლო ჩვენმა შეიარაღებამ აჯობა გერმანიის არმიის შეიარაღებას, რომელიც იმ დროისათვის საუკეთესო შეიარაღებად ითვლებოდა კაპიტალისტური ქვეყნების არმიებს შორის.

იმისათვის, რომ კვლავაც შევინარჩუნოთ საბჭოთა იარაღის მიერ მოპოვებული უპირატესობა კაპიტალისტური არმიების იარაღზე, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ ომისშემდგომ პერიოდში განახორციელეს უდიდესი მუშაობა და დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენი შეიარაღებული ძალების ახალი, სავსებით თანამედროვე იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით აღჭურვაში. (ხანგრძლივი ტაში).

ამჟამად ჩვენ გვყავს პირველხარისხოვანი, კარგად შეიარაღებული და ბრძოლისუნარიანი არმია, სამხედრო-საჰაერო ძალები და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომლებიც მზად არიან შეასრულონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველი დავალება ჩვენი სამშობლოს საიმედო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. (მქუხარე ტაში).

სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება, მამაცი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის იმ დონეზე შენარჩუნება, რომელსაც გვიკარნახებს ჩვენი სამშობლოს ინტერესები, საერთაშორისო ვითარება და სამხედრო საქმის თანამედროვე განვითარება, კვლავაც იქნება ჩვენი პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. (ტაში).

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა სახელმწიფოს ძალის მძლავრი წყარო მუდამ იყო ხალხის, მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ურღვევი ერთიანობა, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი ხალხების მეგობრობა და საბჭოთა ადამიანების მზადყოფნა გმირულად იშრომონ სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და სახალხო ინტელიგენცია კვლავაც არ დაზოგავენ ძალებს, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძლიერება და მიაღწიონ ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

# კავშირის საბჭოსა დ[illegible] საბჭოს გაერთიანებული სხდომა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 9 თებერვლის საღამოს გაერთიანებულ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ მოხსენების გამო.

ტრიბუნაზეა დეპუტატი ნ. ა. მუხიტდინოვი (უზბეკეთის სსრ). იგი ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხ. მოლოტოვის მოხსენებაში და რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება მთელ მსოფლიოში, მხურვალედ უჭერს მხარს და იწონებს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა.

მთელი დედამიწის მილიონობით ადამიანთა თვალი, აღნიშნავს შემდეგ ორატორი, მიმართულია ახლა ტაივანისა და ჩინეთის სხვა კუნძულებისაკენ. ამერიკელი იმპერიალისტების პროვოკაციული მოქმედება ამ რაიონში წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული კურსის ახალ გამოვლინებას. საბჭოთა ადამიანები დიდი თანაგრძნობით ადევნებენ თვალს ჩინელი ხალხის გმირულ ბრძოლას და სულით და გულით უსურვებენ მას სრულ წარმატებას ტაივანის უსწრაფეს განთავისუფლებაში დამპყრობლებისაგან და სახალხო ჩინეთის მთელი ტერიტორიის გაერთიანებას.

დასასრულ დეპუტატი მუხიტდინოვი ლაპარაკობს სხვა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობაზე, რომელიც ფართოვდება. მარტო უზბეკეთის რესპუბლიკაში შარშან იყო 32 ქვეყნის ათასზე მეტი უცხოელი სტუმარი. მათ შორის 24 დელეგაცია აღმოსავლეთის უცხო ქვეყნებიდან.

დეპუტატი ა. ა. მიურისეპი (ესტონეთის სსრ) ამბობს, რომ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია, თუ ვინ არის დამნაშავე საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის გაძლიერებაში. ესენი, უწინარეს ყოვლისა, არიან ამერიკელი იმპერიალისტები, ხოლო მათ კვალს მიჰყვებიან ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების მთავრობები.

ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ ხალხებისათვის, რომლებსაც წინათ განუცდიათ გერმანიის აგრესია, კვლავ იზრდება ეს საფრთხე. ამიტომ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები იძულებული არიან განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი თავიანთი უშიშროების შემდგომი განმტკიცების მიზნით თავიანთი ძალების გასაერთიანებლად. მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში ესტონელმა მშრომელებმა გადაჭრით დაგმეს დასავლეთის სახელმწიფოთა პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც ახალ ომს იწვევენ. დროა შეიგნონ ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათმა დაქირავებულმა აგენტებმა, რომ ვერავინ, ვინც ხელყოფს ჩვენი სამშობლოს წმიდა საზღვრებს, ვერ გაექცევა სამართლიან შურისგებას.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ვ. ტ. ლაცისს (ლატვიის სსრ). საბჭოთა კავშირი, თქვა მან, არავის არ ემუქრება, არავის თავს არ ესხმის და არ აპირებს თავს დაესხას. საბჭოთა კავშირს არ სჭირდება თავისი საზღვრების დაცვა ათასობით კილომეტრზე მათი ნამდვილი ადგილმდებარეობიდან, იგი არ ქმნის თავის სამხედრო ბაზებს სხვის ტერიტორიაზე.

შედარებით ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბატონმა ეიზენჰაუერმა მიიღო ბალტიისპირეთის ქვეყნების „ელჩები", პოლიტიკური ვიგინდარები, რომლებიც მუდამ ვაჭრობდნენ თავიანთი ხალხების ეროვნული ინტერესებით. ხომ არ ფიქრობს ბატონი პრეზიდენტი, რომ ეს „ელჩები" ნამდვილად წარმოადგენენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხალხებს? მათ ამ წარმომადგენლობის იმდენივე უფლება აქვთ, რამდენიც ექნებოდა რომელიმე ჩიკაგოელ განგსტერს ყოფილიყო ამერიკელი ხალხის წარმომადგენელი.

ლატვიის მშრომელები, განაგრძობს ამხ. ლაცისი, მუდამ იბრძოდნენ თავიანთი განთავისუფლებისათვის დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ. ნუთუ ახლანდელ ომის გამჩაღებლებს იმედი აქვთ, რომ ლატვიელი საბჭოთა პატრიოტები უღალატებენ თავიანთ ეროვნულ ტრადიციებს და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად არ დაიცავენ საბჭოთა მიწაწყალს გარედან ყოველგვარი თავდასხმისაგან? ამ პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა ჭეშმარიტად ვერაფერი ვერ ისწავლეს. მაგრამ ისტორია მკაცრი მასწავლებელია და მისი გაკვეთილების არცოდნისათვის მას შეუძლია მკაცრად დასაჯოს.

ჩვენ გვაქვს ჩვენი ძალების, ჩვენი დაუშრეტელი რესურსების ურყევი რწმენა. უახლოეს დროის მთელი ისტორიის მანძილზე მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილან ისე ძლიერნი და დარაზმულნი, როგორც ახლა. ყოველგვარი ცდა სოციალიზმის ბანაკზე თავდასხმისა, ევროპაში იქნება ეს თუ აზიაში, გამანადგურებელ წინააღმდეგობას წააწყდება.

დეპუტატ ლაცისის სიტყვის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კამათის შეწყვეტის შესახებ. თავმჯდომარე აცხადებს, რომ მომხსენებელმა დეპუტატმა ვ. მ. მოლოტოვმა უარი თქვა საბოლოო სიტყვაზე.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ ნ. ა. ბულგანინს. დეპუტატები და სტუმრები მას მქუხარე ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა, რომელმაც ილაპარაკა მინისტრთა საბჭოს მომავალი საქმიანობის ძირითად საკითხებზე, დიდი ყურადღებით მოისმინეს და არაერთგზის შეაწყვეტინეს ხანგრძლივი ტაშით.

შემდეგ წინადადებისათვის საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ მოხსენების გამო სიტყვა ეძლევა კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ მ. ა. სუსლოვს. უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენების გამო გაჩაღებულმა კამათმა, ამბობს ამხ. სუსლოვი, გამოავლინა დეპუტატების განსაკუთრებული ერთსულოვნება, გამოავლინა ის, რომ ისინი სავსებით ეთანხმებიან საერთაშორისო მდგომარეობის იმ შეფასებას, რომელიც მოცემულია ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებაში. საბჭოთა კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკა დეპუტატების გამოსვლებში საყოველთაოდ მოწონებულია, როგორც პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების სახელით დეპუტატ სუსლოვს წინადადება შეაქვს მოწონებულ იქნას საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ამ წინადადებას ერთხმად იღებენ.

ამის შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ ნ. მ. პეგოვს. იგი იუწყება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას დაავალა ცალკე მოახსენოს 1955 წლის 25 იანვარს მიღებული ბრძანებულება „საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ". ამხ. პეგოვი კითხულობს ბრძანებულების ტექსტს. უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს ამ ბრძანებულებას.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების სახელით ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ დ. ტ. შეპილოვს სესიის განსახილველად შეაქვს პროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციისა, რომელიც მიმართულია ყველა სახელმწიფოს ხალხებისა და პარლამენტებისადმი მოწოდებით არ დაუშვან ახალი ომის გაჩაღება, ბოლო მოუღონ გამალებულ შეიარაღებას, გაატარონ ღონისძიებანი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

დეპუტატები დიდი აღფრთოვანებით იღებენ დეკლარაციის ტექსტს.

თავმჯდომარე კითხულობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ა. ბულგანინის განცხადებას, რომელშიც იგი თხოულობს გაანთავისუფლონ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან და წინადადება შეაქვს ამ პოსტზე დაინიშნოს საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი.

უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას დაკმაყოფილებულ იქნას ამხ. ნ. ა. ბულგანინის თხოვნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრად დაინიშნოს ამხ. გ. კ. ჟუკოვი.

შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება ამხ. გ. მ. მალენკოვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და ამასთან დაკავშირებით ამხ. ა. ს. პავლენკოს სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

დღის წესრიგის ყველა საკითხი გადაწყვეტილია. თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას დახურულად აცხადებს.

(საქდეს).

## დადგენილება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი
### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და საბჭოთა კავშირის მარშლის გ. კ. ჟუკოვის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის თხოვნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.
2. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრად დაინიშნოს საბჭოთა კავშირის მარშალი გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 9 თებერვალი.

## დადგენილება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი
### ამხ. გ. მ. მალენკოვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ელექტროსადგურების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლებულ იქნას ამხ. ალექსი სერგის-ძე პავლენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 9 თებერვალი.

## დადგენილება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი
### „საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ" ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ", საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მოწონებულ იქნას საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 9 თებერვალი.

## დადგენილება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი
### „საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 იანვრის ბრძანებულება „საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 9 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შეფასება

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 33).

იმის გამო, რომ ევროპაში ახალი ვითარება იქმნება, საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია პარიზის შეთანხმებანი, გულხელდაკრეფილი ვერ იქნებიან. მათ უნდა გამოიყენონ შესაბამისი ღონისძიებანი თავიანთი უშიშროების შემდგომი განმტკიცებისა და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ყოველივე ეს ნათლად თქვა ცნობილმა მოსკოვის თათბირმა, რომელიც გასული წლის 2 დეკემბერს დამთავრდა და რომელმაც გამოაქვეყნა თავისი ერთსულოვანი მტკიცე დეკლარაცია. ამ დეკლარაციას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკამ.

მოსკოვის თათბირის მონაწილე რვა სახელმწიფომ გარკვევით განაცხადა, რომ თუ დაამტკიცებენ პარიზის შეთანხმებებს, ეს სახელმწიფოები განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას თავიანთი საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის და მშვიდობისა და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ეს მოითხოვს ჩვენგან ახალ დიდ ღონისძიებებსა და მატერიალურ მსხვერპლს. მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო მილიტარისტებო, ჩვენ არ შევჩერდებით ამის წინაშე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ასეთ ღონისძიებებს, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნის მომზადება მოსკოვის თათბირის მონაწილე რვა სახელმწიფოს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებისათვის. დრო რომ არ დაიკარგოს, ახლა მიმდინარეობს შესაბამისი კონსულტაციები. ახალ სამხედრო ბლოკებსა და დაჯგუფებებს, რომლებიც იქმნებიან გერმანიის მილიტარიზმთან ერთად, ჩვენ ვუპასუხებთ ჩვენი რიგების შემდგომი შემჭიდროებით, ჩვენი მეგობრობის შემდგომი განმტკიცებით, ჩვენი თანამშრომლობის მთელი საქმის გაუმჯობესებით, და იქ, სადაც ეს საჭიროა, — ურთიერთდახმარების შემდგომი გაფართოებით. **(ტაში).**

იმ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა დასავლეთ ევროპის სამხედრო დაჯგუფებანი რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე აღნიშნული რვა ქვეყნის გაერთიანებული სამხედრო სარდლობის შექმნა. **(მქუხარე ტაში).** ეს ღონისძიება გამომდინარეობს იმის აუცილებლობიდან, რომ გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების თავდაცვისუნარიანობა, ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ ყოველგვარი შემთხვევითობა და მოულოდნელობა. როცა ჩვენ შევქმნით ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებულ სამხედრო სარდლობას, მაშინ, უნდა ვივარაუდოთ, აგრესიული წრეებიც შეიკავებენ თავს ავანტიურული მოქმედებისაგან და ცოტა უფრო წყნარად მოიქცევიან. **(ტაში).**

ჩვენ ამას აშკარად ვაცხადებთ და საჭიროდ მიგვაჩნია ავუხსნათ ჩვენს ხალხს ნამდვილი მდგომარეობა. და დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი სწორად გაგვიგებს. **(მქუხარე ტაში).**

კარგად ცნობილია, რომ ხალხთა შეგნებული დამოკიდებულება იმ ამბებისადმი, რომლებიც ხდება, ყველაზე უფრო საიმედოდ ემსახურება მშვიდობის ინტერესებს და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა უშიშროების უზრუნველყოფის საუკეთესო გარანტიაა.

ყოველივე ზემონათქვამიდან ჩანს, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

ამის შესაბამისად ჩვენ ვცდილობთ განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებანი, გავმართოთ ისეთი მოლაპარაკება და დავდოთ ისეთი შეთანხმებანი სხვა ქვეყნებთან, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების ინტერესებს. რა თქმა უნდა, ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეორე მხარეც იჩენს კეთილ ნებას ამავე მიმართულებით.

ჩვენი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან განისაზღვრება, უწინარეს ყოვლისა, იმით, თუ რამდენად შეიძლება ამ ურთიერთობის განვითარებამ ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების თანმიმდევრული დაცვით.

რა შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირისა და **ამერიკის შეერთებული შტატების** ურთიერთობაზე?

სასურველია, რომ ეს ურთიერთობა უკეთესი იყოს. შესაძლებელია თუ არა სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის ასეთი გაუმჯობესება? სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ არა მარტო საბჭოთა კავშირის მთავრობა, არამედ შეერთებული შტატების მთავრობაც ესწრაფოდეს ამას.

**ინგლისთან და საფრანგეთთან** ურთიერთობის არც თუ ცუდი განვითარება, რაც ამას წინათ დაიწყო, წააწყდა მეჩეჩს, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პარიზის შეთანხმებებს **(გამოცოცხლება დარბაზში),** რომლებიც შეიცავენ გერმანიის აგრესიული მილიტარიზმის აღორძინების გეგმებს. თუ საქმე საბოლოოდ წავიდა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და განხორციელების გზით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ინგლისი და საფრანგეთი არათუ არ უფრთხილდებიან იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც მათ დადეს საბჭოთა კავშირთან მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში, არამედ პირდაპირ აუქმებენ, აბათილებენ მათ. ეს გარდუვალი გახდება, რამდენადაც პარიზის შეთანხმებები, გზას უხსნიან რა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას და რემილიტარიზებული დასავლეთ გერმანიის შეყვანას ანტისაბჭოთა ბლოკებში, შეუთავსებელია როგორც ინგლის-საბჭოთა კავშირის, ისე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებთან.

შეადარეთ ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის განვითარება ისეთ მეზობლებთან, როგორიც არიან ფინეთი და ნორვეგია.

ჩვენი ურთიერთობა **ფინეთთან** ვითარდება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1948 წლის ხელშეკრულების შესაბამისად. შეიძლება აღინიშნოს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ამ ურთიერთობის განვითარებას როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ დარგში. მოსკოვში ფინეთის მთავრობის დელეგაციის ვიზიტმა ბ-ნ კეკონენის მეთაურობით, რაც შარშან მოხდა, და ფინეთში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის საპასუხო ვიზიტმა ამხანაგ ა. ი. მიქოიანის მეთაურობით ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის უკეთეს ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ურთიერთობას, საბჭოთა კავშირი იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმას, რომ **ნორვეგია** გახდა ერთ-ერთი მონაწილე აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებისა, რომლის საქმიანობა როდი უწყობს ხელს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას. ყოველ შემთხვევაში, ნორვეგიელებს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება შეესაბამება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, არამედ ნორვეგიის ინტერესებსაც.

აღვნიშნავ აგრეთვე ჩვენს ურთიერთობას ისეთ მეზობლებთან, როგორიც არიან თურქეთი, ირანი და ავღანეთი.

ვინ არ იცის, რომ საბჭოთა კავშირმა გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები, რათა ხელი შეეწყო **თურქეთთან** ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად ამისა, თურქეთის ხელისუფალნი კვლავ ადგანან იმ პოზიციებს, რომლებიც არ შეესაბამება ნორმალურ კეთილმეზობლურ ურთიერთობას, აქცევენ თავიანთ ტერიტორიასა და სანაპირო წყლებს უცხოეთის, და განსაკუთრებით ამერიკის, შეიარაღებული ძალების სამხედრო მანევრებისა და დემონსტრაციის რაღაც ასპარეზად. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ თურქეთისა და სსრ კავშირის ურთიერთი ინტერესები მოითხოვენ ორივე ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აუცილებლად შენარჩუნებას.

**ირანთან** ურთიერთობაში დაისახა გარკვეული გაუმჯობესება. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დაიდო საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმება დიდმნიშვნელოვან სასაზღვრო და საფინანსო საკითხებზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ამ მიმართულებით ხელს არ შეუშლის იმ გარეშე აგრესიული ძალების შეუწყვეტელი ზეგავლენა ირანზე, რომლებმაც მიზნად დაისახეს ჩაითრიონ ეს ქვეყანა თავიანთ აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებში ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ჩვენი ურთიერთობა **ავღანეთთან** ნორმალურად ვითარდება, და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს.

დიდი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირისა და **ინდოეთის** მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება.

წარმატებით ვითარდება როგორც პოლიტიკური და ეკონომიური, ისე კულტურული ურთიერთობა, რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნების ხალხთა დაახლოებას, რომელნიც გამსჭვალული არიან ურთიერთ პატივისცემითა და გულწრფელი სიმპათიებით.

ამ დღეებში დაიდო დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური შეთანხმება. ამ შეთანხმებით საბჭოთა კავშირმა იკისრა შეღავათიანი გრძელვადიანი კრედიტის პირობებში ააშენოს ინდოეთში დიდი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც გამოუშვებს 1 მილიონზე მეტ ტონა ფოლადს და შესაბამისი რაოდენობით ნაგლინს. საბჭოთა კავშირი ინდოეთს მიაწვდის მთელ მოწყობილობას და გაუწევს საჭირო ტექნიკურ დახმარებას, გაგზავნის აგრეთვე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. ჩვენ დიდი ხალისით დავთანხმდით დაგვეკმაყოფილებინა შესაბამისი თხოვნა, რადგან ინდოეთში მეტალურგიის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ უძველესი და დიდი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეკონომიური აღმავლობის უზრუნველყოფას, რასაც მთელი სულითა და გულით თანაუგრძნობენ სსრ კავშირის ხალხები. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამა წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირში უნდა ჩამოვიდეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავახარლალ ნერუ. **(ტაში).** ცნობას ბ-ნ ნერუს ჩამოსვლის შესახებ უაღრესად მეგობრულად გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის ხალხები. **(ტაში).**

აგრეთვე კვლავ მტკიცდება ჩვენი ურთიერთობა აზიის ორ სხვა ქვეყანასთან — **ბირმასთან** და **ინდონეზიასთან.**

საბჭოთა კავშირისა და **არაბთა ქვეყნების,** გარდა ერაყისა, ურთიერთობაში უკანასკნელ ხანს შეიძლება აღინიშნოს დადებითი ფაქტები.

ის გარემოება, რომ ერაყმა შეწყვიტა ურთიერთობა სსრ კავშირთან, შეიძლება აიხსნას, უმთავრესად, იმით, რომ ერაყის ახლანდელი მთავრობა ძალიან ჩქარობს „დასავლეთის“ იმპერიალისტების მორჩილებაში ყოფნას. არაბთა ქვეყნებში ალბათ იციან სსრ კავშირის ხალხთა მეგობრული გრძნობები ამ სახელმწიფოებისადმი და ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს სახით მათ ჰყავდათ და ჰყავთ საიმედო დასაყრდენი მათი სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. **(ტაში).**

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის **იაპონიასთან** ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირმა უშუალო კონტაქტი დაამყარა იაპონიის მთავრობასთან. ჩვენ ამისაგან შესაბამის დადებითს შედეგებს მოველით.

საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ მოწესრიგდეს ავსტრიის საკითხი, დემოკრატიული **ავსტრიის** დამოუკიდებლობის სრული აღდგენის საკითხი, ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესების შესაბამისად.

საბჭოთა მთავრობას გაუმართლებლად მიაჩნია რაიმე შემდგომი გაჭიანურება ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების საქმეში. ამასთან ერთად არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ საშიშროებასაც, რომელსაც შეიცავს ავსტრიისათვის დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმები პარიზის შეთანხმებათა მსგავსად.

ყველაფერი ეს საფუძველს აძლევს საბჭოთა მთავრობას ავსტრიის საკითხთან დაკავშირებით გააკეთოს შემდეგი დასკვნები:

**პირველი.** უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ ავსტრიის საკითხის მოწესრიგება არ შეიძლება განვიხილოთ გერმანიის საკითხთან დაუკავშირებლად, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის არსებული გეგმების გამო, რაც აძლიერებს ავსტრიის შთანთქმის (ანშლუსის) საფრთხეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენაზე სახელმწიფო ხელშეკრულების დადების დროს გამონახულ უნდა იქნას ისეთი გადაწყვეტა, რომელიც გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ გერმანიამ განახორციელოს ავსტრიის ახალი ანშლუსი, რაც დაკავშირებულია გერმანიის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს შესაბამის შეთანხმებულ ღონისძიებათა მიღებასთან. ამ შემთხვევაში ოთხი სახელმწიფოს ჯარების გაყვანა ავსტრიიდან შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ არ დაველოდოთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

**მეორე.** ავსტრიამ ვალდებულება უნდა იკისროს არ შევიდეს რაიმე კოალიციასა თუ სამხედრო კავშირში, რომლებიც მიმართული იქნება რომელიმე იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობას იღებდა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომსა და ავსტრიის განთავისუფლებაში, აგრეთვე არ დაუშვას უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნა თავის ტერიტორიაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა, თავის მხრივ, უნდა იკისრონ აგრეთვე ვალდებულებანი შეასრულონ აღნიშნული დებულებანი.

**მესამე.** ავსტრიის საკითხის რაც შეიძლება სწრაფი მოწესრიგების ინტერესებისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი, რომელიც განიხილავს როგორც გერმანიის საკითხს, ისე ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების საკითხს. ეს, ცხადია, გულისხმობს ავსტრიის მონაწილეობას ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხის გადაჭრაში.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თუ დამტკიცდა პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც გზას უხსნიან მილიტარიზმის აღორძინებას დასავლეთ გერმანიაში, შეიქმნება ანშლუსის სერიოზული საფრთხე და, მაშასადამე, საფრთხე ავსტრიის დამოუკიდებლობისათვის.

როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს მიღწეულია წარმატებანი საბჭოთა კავშირისა და **იუგოსლავიის** ურთიერთობაში.

ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით უკვე ყველაფერი გაკეთდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს არანაკლებ დამოკიდებულია იუგოსლავიაზეც. როგორც ჩანს, იუგოსლავია უკანასკნელ წლებში რამდენადმე დაშორდა იმ პოზიციებს, რომლებიც მან დაიკავა პირველ წლებში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. და ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად მისი საშინაო საქმეა. საბჭოთა კავშირი ცდილობს განავითაროს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობა ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში. ამასთან ჩვენ ვცდილობთ შეძლებისამებრ შევათანხმოთ ღონისძიებანი ყველა ხალხისათვის გადამწყვეტ ისეთ საქმეში, როგორიც არის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფა. დარწმუნებული ვართ, რომ სწორი მიმართულება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის განვითარებაში შეესაბამება როგორც სსრ კავშირის, ისე იუგოსლავიის ხალხთა ინტერესებს.

მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, თუ როგორ ვითარდება საბჭოთა კავშირის ურთიერთობა სახალხო დემოკრატიის ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არიან **პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი,** აგრეთვე **გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.** ამ ქვეყნებთან ურთიერთობა წარმატებით ვითარდება ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა ფართო მასების კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

აღმოსავლეთში ძმური მეგობრობისა და ფართო თანამშრომლობის ასეთივე ურთიერთობა ვითარდება ჩვენს ქვეყანასა და **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას,** აგრეთვე **ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას** შორის.

დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ჩვენ გვაკავშირებს მეგობრობა და ძმური ურთიერთობა, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება. **(ხანგრძლივი ტაში).**

გასულ წელს ჩინეთში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ყოფნა, რომელსაც ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი და ნ. მ. შვერნიკი მეთაურობდნენ, და ამ დელეგაციის მიერ დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებების დადება როგორც ეკონომიური თანამშრომლობის დარგში, ისე აგრეთვე საერთაშორისო საქმეებში თანამშრომლობის დარგში, მკაფიოდ გამოხატავს ამ ახალ სოციალისტურ კავშირურთიერთობას ორ დიდ ქვეყანას შორის.

როგორც ზემოხსენებულ ქვეყნებთან, ისე ყველა სხვა სახელმწიფოსთან, საბჭოთა კავშირი ცდილობს იქონიოს ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას. ჩვენ დიდი სიხარულით აღვნიშნავთ, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები როგორც ევროპაში, ისე აზიაში ყოველი ღონისძიებით უჭერენ მხარს ამ პოლიტიკას და საბჭოთა კავშირთან ერთად თანმიმდევრულად ახორციელებენ პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელება. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის დამყარდა და სულ უფრო მტკიცდება მეგობრული თანამშრომლობა ყველა დარგში — პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგში. ეს თანამშრომლობა ემყარება სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პრინციპების თანმიმდევრულ დაცვას. ცხადია, საჭირო შემთხვევაში იგი ვრცელდება ყველა ამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების დარგზეც.

მაგრამ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის ქვეყნები არ ქმნიდნენ და არ ქმნიან სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართულ რაიმე სამხედრო ბლოკს. ისინი არც შემდეგში გააკეთებენ ამას, მაგრამ იძულებული იქნებიან გააერთიანონ თავიანთი ძალები, რათა უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება, თუ განხორციელდება აგრესიული გეგმები, რომელთა საშუალებით სურთ აღადგინონ გერმანიის მილიტარიზმი და მოამზადონ მშვიდობიან სახელმწიფოებზე თავდასხმა.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს დღემდე არ სჭირდებოდათ სამხედრო ღონისძიებათა გაერთიანება. საჭირო ერთიანობას ერთმანეთს შორის ყველა დარგში ისინი აღწევდნენ და აღწევენ საქმიანი კონტაქტით, თანამშრომლობითა და ურთიერთდახმარებით, რაც განმტკიცებულია ურღვევი მეგობრობითა და ძმური ურთიერთობით.

ამის შედეგად 12 ქვეყანა, მათ შორის სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომელთა საერთო მოსახლეობა 900 მილიონი კაცია, წარმოადგენენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დარაზმულ ბანაკს. **(ტაში).** ამ ქვეყნებს სათავეში უდგანან მშრომელები, რომელთათვის ძნელი არ არის ერთმანეთს შორის შეთანხმება ყველა არსებით საკითხზე და რომლებსაც არ თიშავს იმპერიალისტთა შორის არსებული მგლური ზნეჩვეულებანი და მხეცური კონკურენცია.

რამდენადაც საბჭოთა კავშირი იცავს საყოველთაო მშვიდობის საქმეს და ხალხთა სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პრინციპების ხელშეუხებლობას, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერენ სხვა ხალხებიც, სხვა, დიდი და მცირე, სახელმწიფოებიც.

სსრ კავშირს არ შეუძლია ჯეროვნად არ შეაფასოს, მაგალითად, ის, რომ ინდოეთმა ან ბირმამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად, გამოაცხადეს სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის ისეთი ხუთი პრინციპი (თანაარსებობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თავდაუსხმელობა და სხვ.), რომლებზეც ყოველთვის ამყარებდა თავის საგარეო პოლიტიკას საბჭოთა კავშირი და რომლებსაც ახლა ასე მეგობრულად უჭერენ მხარს მთელ მსოფლიოში.

ჩვენ უფლება გვაქვს ვკითხოთ ყველა ქვეყნის მთავრობებსა და პარლამენტებს, რატომ არ შეიძლება მშვიდობისმოყვარეობის ეს პრინციპები, რომლებიც ახლა ჩამოყალიბებულია ინდოეთ-ჩინეთის 1954 წლის 28 ივნისის დეკლარაციაში, გახდეს საერთო პლატფორმა ყველა ხალხის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში? **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას მრავალი და საიმედო მეგობარი ჰყავს კაპიტალისტური ბანაკის ქვეყნებშიც.

თქვენ იცით, ვინ არიან ეს ჩვენი მეგობრები.

ეს, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასია, რომელსაც არსად არა სურს ომი, და რომლის რიგებში განუხრელად იზრდება ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის აქტიურ მებრძოლთა რაცხვი.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას მეგობრულად უჭერდნენ და უჭერენ მხარს აგრეთვე მილიონობით გლეხები, რომლებსაც ომი არაფერს მოუტანს, გარდა გაჭირვებისა და უბედურებისა. სოციალისტური ბანაკის ფარგლებს დაშორებით ქალაქებსა და სოფლებში იზრდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა მოსახლეობის ყველა ფენაში, მათ შორის შეძლებულ კლასებში, და ყველა საბჭოთა ადამიანს ახარებს მშვიდობისათვის, სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის განვითარებისათვის ამ მოძრაობის ნამდვილი წარმატება.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატებისა და იმ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას, რომლებიც ამერიკის საგარეოპოლიტიკურ კურსს მისდევენ, იგი ბევრ შემთხვევაში საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის.

თუ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებასა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ახორციელებენ პირდაპირ საწინააღმდეგო კურსს სსრ კავშირისა და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების მიმართ.

რას არ იგონებენ შეერთებულ შტატებში, რათა ხელი შეუშალონ საბჭოთა საგარეო ვაჭრობას, გზა დაუხშონ ჩინეთის ეკონომიურ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან, ხელი შეუშალონ, და თუ შესაძლებელია, ჩაახშონ დემოკრატიული ქვეყნების ვაჭრობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებზე არიან დამოკიდებული.

ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და კონგრესმა უკანასკნელ წლებში მიიღეს ბევრი ყოველგვარი კანონი და დადგენილება. შეერთებული შტატების სენატორებმა და მინისტრებმა ყოველნაირი სიტყვები წარმოთქვეს, რომლებშიც ემუქრებოდნენ ურჩ სახელმწიფოებს. ამავე მიზნით შექმნილია ამერიკის მრავალი ყოველგვარი სამეთვალყურეო კომიტეტი, რომ, ღმერთმა ნუ ქნას და რომელიმე ამერიკელმა, ჩილელმა, ინგლისელმა, დანიელმა, დასავლეთგერმანელმა ან იტალიელმა ბიზნესმენმა საგარეო ბაზრისათვის ნაწარმოები თავისი საქონელი არ მიჰყიდოს საბჭოთა კავშირს ან ბულგარეთს, ჩინეთს ან უნგრეთს. ამასთან შეერთებული შტატები მიმართავენ ზეგავლენისა და პირდაპირი დიქტატის ისეთ ხერხებს, რომ ბევრი მრეწველი და ვაჭარი სერიოზულად დამფრთხალია და ეშინია განავითაროს ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან.

მაგრამ უცნაურია, რომ შეერთებულ შტატებში დღემდე არ ესმით, რომ ეს არ აღწევს დასახულ მიზნებს.

მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა და დისკრიმინაციული ღონისძიებებისა, რომლებსაც იღებენ ამერიკის ხელისუფალნი სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ჩაშლა არ მოხერხდა. გარდა ამისა, ამ აგრესიულმა პოლიტიკამ ის გამოიწვია, რომ ეკონომიური ურთიერთობა დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს შორის დაჩქარებული ტემპით ვითარდება. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებას.

ზოგიერთი ამერიკელი მოღვაწე იმ პირთაგან, რომლებიც განსაკუთრებით გატაცებული იყვნენ იმით, რომ სიძნელეები შეექმნათ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობისათვის, ვარაუდობდა შეეფერხებინა ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენა. ისინი ფიქრობდნენ, რომ საჭირო იქნებოდა ათეული წლები იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირს აღედგინა თავისი ომამდელი ეკონომიკა. მაგრამ, განა უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვამ ერთხელ კიდევ არ ცხადყო, თუ რა სკანდალურად მოტყუვდნენ ისინი ანგარიშში.

მოვიყვან ამის მხოლოდ ერთ ილუსტრაციას.

ჩვენ არავის ეჭვი არ გვეპარება, რომ 1955 წლისათვის მიღებული როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ისე სახალხო-სამეურნეო გეგმა წარმატებით განხორციელდება. მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებით კი ჩვენი მრეწველობა ისეთ მასშტაბს მიაღწევს, რომელიც ერთისამად და უფრო მეტად გადააჭარბებს ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო წარმოების ომამდელ დონეს. **(ტაში).**

ამას დაუმატეთ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომლებიც ამ ბოლო დროს არის მიღებული, ახლა ისეთი მუშაობა ჩაღდება სოფლის მეურნეობის დარგში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში, რომელსაც ახალი და კიდევ უფრო უმაგალითო აღმავლობა უნდა მოჰყვეს. ამ დარგში დასახული ახალი და ნამდვილად წარმტაცი ამოცანები საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ დიდ ღონისძიებებს მოითხოვენ. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ამის ძალა შესწევთ ახლანდელ განმტკიცებულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებას ჯეროვან დახმარებას გაუწევს მთელი დიდი საბჭოთა ხალხი. **(ხანგრძლივი ტაში).**

რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობას, დაე იცოდნენ: ჩვენ მხარს ვუჭერთ ნორმალური საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას და ჯანსაღ ეკონომიურ თანამშრომლობას. რით იქნება ცუდი, თუ პატიოსანი ეკონომიური შეჯიბრება გაჩაღდება კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის? XX საუკუნის შუა წლებში ამაზე უკეთესს ხომ თითქოს ვერაფერს მოიგონებ. **(ტაში).**

## IV. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა საფრთხეა მშვიდობისათვის

თუ ეკონომიურ დარგში ამერიკულ „ძალის პოლიტიკას“ საერთაშორისო ვაჭრობაში ყოველგვარი შეფერხებანი და დისკრიმინაციული ღონისძიებები მოსდევს, სამხედრო-პოლიტიკურ დარგში იგი თავის მთავარ გამოხატულებას პოულობს სხვადასხვაგვარი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისა და აგრესიული დაჯგუფებების შექმნით.

როგორც ცნობილია, მთავარი ადგილი ამ მხრივ ეკუთვნის ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფებას, რომელიც შექმნა ინგლის-ამერიკის ბლოკმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. ამ დაჯგუფებაში შედიან: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება

(დასასრული)

საფრანგეთი, იტალია, კანადა, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, დანია, ნორვეგია, ისლანდია, პორტუგალია, საბერძნეთი, თურქეთი.

გარდა ამისა, არსებობენ სხვა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებანი, რომლებიც აგრეთვე შექმნილია ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით.

ამათგან შეიძლება დავასახელოთ შემდეგნი, რომელთა შექმნაც გაფორმდა ამა თუ იმ ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში: ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის; ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის; ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის შესახებ (სეატო); ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაკოტრებულ ჩან კაი-შის შორის (სიცილი); ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეის ლისინმანელთა ხროვას შორის; შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს, ბაო დაის ვიეტნამს, ლაოსსა და კამბოჯას შორის. ამასთან ყველასთვის გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ასეთ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომელთა მიზანია რაიმე დახმარება გაუწიონ ჩინელი ხალხისათვის საძულველ ჩან კაი-შის ხროვას ტაივანზე, ლი სინ მანის ფაშისტურ დაჯგუფებას სამხრეთ კორეაში, ბაო დაის, რომელსაც უარყოფს ვიეტნამელი ხალხი.

ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით შექმნილ დაჯგუფებათა ამ ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ამასწინანდელი შეთანხმება თურქეთსა და პაკისტანს შორის, აგრეთვე თურქეთისა და ერაყის შეთანხმება, რომელიც ამჟამად მზადდება.

პარიზის შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირის შექმნას, რომელიც უნდა გახდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის, ასე ვთქვათ, დამკვრელი კოლონა. დასავლეთ ევროპის სამხედრო კავშირში, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის გარდა, შეჰყავთ აგრეთვე დასავლეთი გერმანია. საჭირო არ არის რაიმე დავუმატოთ იმას, რაც უკვე ვთქვით ამ სამხედრო კავშირის შესახებ.

სავსებით განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ხელშეკრულება თურქეთს, საბერძნეთსა და იუგოსლავიას შორის, რამდენადაც მის მონაწილეთაგან მხოლოდ ორია ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრი, ხოლო მესამე — იუგოსლავია — არ შედის ამ ბლოკში. მაგრამ ბალკანეთის ხალხებს არ შეუძლიათ სათანადო სიფრთხილე და ყურადღება არ გამოიჩინონ ამ მხრივ.

სამხედრო ბლოკები და დაჯგუფებები, რომლებსაც შეერთებული შტატები ქმნიან ევროპაში, მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, ხოლო აზიაში — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და მისი მეგობარი ხალხების წინააღმდეგ.

მაგრამ საქმე ბლოკებისა და დაჯგუფებების შექმნით როდი ამოიწურება.

არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ საშიშროება გამალებული შეიარაღებისა, რომელიც კვლავ გრძელდება. ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და ზოგიერთი სხვა, სამხედრო ბიუჯეტები უკვე უმაგალითოდ გაბერილია. შეერთებულ შტატებში სამხედრო ხარჯები მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის ორ მესამედს შეადგენს და რამდენჯერმე აღემატება ამავე მიზნისათვის განკუთვნილ ომამდელ ხარჯებს.

ამერიკის შეერთებული შტატები დიდად განვითარებული მრეწველობის წარმოების ახლანდელ დონეს უმთავრესად სამხედრო დაკვეთებით ინარჩუნებენ. სამხედრო მრეწველობის პროდუქცია შეადგენს ამერიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის 20-25-მდე პროცენტს, ესე იგი თითქმის მეოთხედ ნაწილს. და, მიუხედავად ამისა, ეკონომიური კრიზისი და საერთო პროდუქციის შემცირების პროცესი თავს იჩენს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დროა აღიარონ, რომ ისეთ არაჯანსაღ საფუძველზე, როგორიც არის სამხედრო დაკვეთები, შეუძლებელია დიდხანს დარჩეს ქვეყნის ეკონომიკა. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ საერთაშორისო ვაჭრობის ჩაფუშვის თვითმკვლელურ პოლიტიკას, რაც ამერიკის მრეწველობას უსპობს განვითარებისა და გაფართოების ნორმალურ გზებს.

შემთხვევითი როდია აგრეთვე ის, რომ უკვე მეხუთე წელიწადია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას თავის ქვეყანაში შემოღებული აქვს ეგრეთწოდებული „საგანგებო წესები". ეს დაიწყო დემოკრატიული პარტიის ტრუმენის მთავრობის დროს და გრძელდება რესპუბლიკური პარტიის ახლანდელი მთავრობის დროს.

უკანასკნელ ხანს იქ შექმნილი საომარი ისტერიის ატმოსფეროს შენარჩუნებისათვის კიდევ უფრო შორს წავიდნენ. გაზეთებში და რადიოთი გააჩაღეს ღვარძლიანი კამპანია ყოველგვარი ლაყბობით არა უბრალოდ ომზე, არამედ სწორედ ატომური ომის მომზადებაზე. პასუხისმგებლობა ამისათვის ეკისრებათ, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის მმართველ წრეებს. სწორედ მათი მოთხოვნით გასული წლის შუა დეკემბერში პარიზში გაიმართა ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მონაწილეთა თათბირი ატომური ომის მომზადების საკითხზე.

არა სურს რა ჩამორჩეს სხვებს, ზოგიერთი საგარეო საქმეთა მინისტრიც ამ ბოლო დროს ეწევა ატომური ომის პროპაგანდას.

მაგალითად, 1954 წლის 18 დეკემბერს პარიზში პრესკონფერენციაზე ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპააკმა, ცოტა წაიტრაბახა რა, გააკეთა განცხადება, რომ გადაწყვეტილებანი, რომლებიც წინადღით მიიღო ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭომ, „სამხედროებს აძლევენ სწორედ იმას, რაც მათ სჭირდებათ. ისინი მოითხოვდნენ ნებართვას, რომ ემზადონ ატომური ომისათვის. ეს ნებართვა მათ მიეცათ". დააყენა რა ამასთან ცოტა დიპლომატიური ბურუსი, სპააკმა ილაპარაკა აგრეთვე ეგრეთწოდებულ „ატომური იარაღის გამოყენების ჰიპოთეზაზე", ამასთან პრანჭვით განაცხადა: „საბოლოო გადაწყვეტილება და საშუალებანი, რომელთა შემწეობით შეგვიძლია მივიღოთ იგი (ესე იგი გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოყენების შესახებ), არ შეიძლება გამოქვეყნდეს. ეს უმნიშვნელოვანესი სამხედრო საიდუმლოებაა".

უკანასკნელ ხანს ატომური ომის პროპაგანდა დაიწყეს სპააკმაც, დალესმაც, გარდა ამისა, არა მარტო ამერიკელმა გენერლებმა რედფორდმა, გრიუნტერმა, სტივენსონმა, არამედ ლაპარაკის მოყვარულმა ინგლისელმა ფელდმარშალმა მონტგომერიმაც. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ხომ არა სურთ ამით თქვან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეთა ამასწინანდელი პროექტები და სიტყვები ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ განკუთვნილი იყო მხოლოდ ფართო საზოგადოების ყურადღების ჩამოსაშორებლად.

თუ ამგვარი ვარაუდი ოდნავ მაინც მართალია, ამით ორმაგი ზიანი მოუვა ამერიკის საგარეო პოლიტიკას. ჯერ-ერთი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამგვარი ორჭოფული გეზი ძირს უთხრის ხალხის ნდობას მთავრობისადმი და, მეორე, რომ ატომური ომის ზოგიერთი ახლანდელი მქადაგებლის სახით ხალხები უკვე ახლავე დაინახავენ ახალ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა კანდიდატებს. **(ტაში).**

ყოველივე ეს ერთად აღებული, სახელდობრ: მრავალრიცხოვანი დაბრკოლებებიც, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა შექმნეს საერთაშორისო ვაჭრობის დარგში, აგრესიული სამხედრო ბლოკებიც, მრავალრიცხოვანი სამხედრო ბაზებიც, რომლებსაც ქმნიან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, გამალებული შეიარაღებაც, ატომური ომით დამუქრებაც, — ყოველივე ეს განკუთვნილია იმისათვის, რომ დაგვანახვონ, რომ შეერთებული შტატები და სახელმწიფოთა ამერიკული დაჯგუფება ახორციელებენ „ძალის პოლიტიკას", რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ყოველივე ეს განკუთვნილია იმისათვის, რომ „ძალის პოზიციის" პოლიტიკით, ესე იგი ზეგავლენისა და მუქარის პოლიტიკით ვიღაც დააშინონ, ვიღაც შეაკრთონ. მაგრამ მთელი ეს ნერვიული პოლიტიკა ძალიან ძვირად უჯდება თვით ამერიკელ ხალხს და არაფერს არ აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს მათი საგარეო პოლიტიკის პოზიციების განსამტკიცებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ერთხელ კიდევ მოტყუვდნენ. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ ჰქონდათ ატომური იარაღის უთუო მონოპოლია. ომის შემდეგ პირველ წლებში მათგან ყველაზე შორსმჭვრეტელებსაც კი მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირს ატომური იარაღის წარმოებისათვის დასჭირდებოდა, სულ ცოტა, 10-15-წელიწადი, ხოლო უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ბევრად უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა. მაგრამ საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა და ყველა იმათ, ვისაც პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდა ამასთან, მოკლე ვადაში მიაღწიეს ისეთ შედეგებს, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებულ შესაძლებლობებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ წყალბადის ბომბის წარმოებაში საბჭოთა ადამიანებმა მიაღწიეს ისეთ წარმატებებს, რომ ჩამორჩენილთა მდგომარეობაში აღმოჩნდა არა საბჭოთა კავშირი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატები. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად როდი უჭერენ მხარს თვით შეერთებულ შტატებში.

ახლა რესპუბლიკურ პარტიას აღარა ჰყავს უმრავლესობა ამერიკის კონგრესში. ამერიკის პარლამენტის წევრთა უმრავლესობა გასული წლის შემოდგომის არჩევნების შემდეგ ეკუთვნის დემოკრატიულ პარტიას. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ აზრი ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი მოღვაწის სტივენსონისა, რომელიც დემოკრატიული პარტიის კანდიდატი იყო პრეზიდენტის პოსტზე 1952 წლის არჩევნების დროს. აი, ამერიკის პრესის ცნობით, რა თქვა სტივენსონმა დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ კრებაზე 1954 წლის 8 სექტემბერს:

„მე გამოვარკვიე, რომ ზოგჯერ ძნელია დავაშოროთ ჩვენი პოლიტიკა ჩვენს საჯარო განცხადებებსა და ჩვენს ლოზუნგებს — ამ ეფექტიან ფრაზებს და გარეგნულად მიმზიდველ პოლიტიკას; ჩვენ, ალბათ, ვახორციელებთ პოლიტიკას, რომელიც ემყარება ლოზუნგებს — დალესი წარმოთქვამს ამ ლოზუნგებს, ხოლო ნოულენდი ცოფს ყრის, — პოლიტიკას, რომელიც არაფერს არ ნიშნავს და ბევრს არაფერს იძლევა. თქვენ გახსოვთ ყველა ეს ამაღელვებელი გაბედული შეძახილები: „განთავისუფლება", „მოქმედების თავისუფლების მინიჭება ჩან კაი-შისათვის", „ინიციატივის ხელში ჩაგდება", „ახალი მიდგომა" თავდაცვის საკითხებისადმი, „მასირებული საპასუხო დარტყმა" და სხვ. ისინი ზედიზედ შინ გვიბრუნდებიან შემოპარვით **(სიცილი)**, სულ უფრო მეტად უთხრიან ძირს ჩვენს პრესტიჟსა და გავლენას... საკმაოდ სამწუხაროა ვხედავდეთ, შინაური დავის უბადრუკი სანახაობა ვაშინგტონში როგორ იწვევს სასოწარკვეთილებას ჩვენს მოკავშირეებში. მაგრამ გაცილებით უარესი მოვლენაა დამბლა, რომელიც, როგორც ჩანს, დაემართა სახელმწიფო დეპარტამენტს. სახელმწიფო მდივანი დალესი, უეჭველად, მართალია, როცა აცხადებს, რომ დადგა ჩვენი საგარეო ურთიერთობის „მწარე გადასინჯვის" დრო. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ გონივრული ხელახლა შეფასება შეუძლებელია ისეთ ატმოსფეროში, როცა სიტყვა „მოლაპარაკება" სიტყვა „გამცემლობის" სინონიმი გახდა".

ამერიკის საგარეო პოლიტიკის ეს-ეს არის მოყვანილი შეფასება ისეთი კომპეტენტური პირის მხრივ, როგორიც არის პრეზიდენტობის ამასწინანდელი კანდიდატი, ყურადღების ღირსია. ცუდი არ იქნება, თუ ეს შეფასება ამა თუ იმ ზომით მიაღწევს იმ ადამიანთა შეგნებამდე, რომლებსაც ეს უშუალოდ ეხება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ეს შეფასება მთლიანად როდი ამჟღავნებს არსებულ წინააღმდეგობებს და ამ დარგში შექმნილ ნამდვილ ვითარებას.

მართლაც, იმ დროს, როცა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი მტკიცეა პოლიტიკური მიზნების ერთიანობით და მშრომელთა დიადი ინტერნაციონალური მეგობრობით, იმპერიალიზმის ბანაკს გარეშე და შინაგანი წინააღმდეგობანი ჯიჯგნიან. ყოველივე ეს გარდუვალად ემჩნევა საგარეო-პოლიტიკურ დარგსაც.

ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ ბევრი მაგალითით.

აი ფაქტები.

გაიხსენეთ ჟენევის თათბირი. იქ საფრანგეთს, ინგლისს, ჩინეთსა და სსრ კავშირს შორის მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხზე, თუმცა მესამე პარტნიორმა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკიდან, სახელდობრ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არ მოისურვა ხელი მოეწერა ამ შეთანხმებისათვის. მართალია, შემდეგ მანილის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლები რამდენადმე შეთანხმდნენ. ამჯერად საფრანგეთი და ინგლისი მიემხრნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს და რამდენადმე გამოვიდნენ ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებიც მიღებული იყო მათივე მონაწილეობით. მაგრამ განა ეს არ მოწმობს, რომ იმპერიალისტურ ბანაკში არსებობს მრავალი წინააღმდეგობა, რომლებიც თავს იჩენენ ხან ერთი, ხან მეორე ფორმით, ხან მეტი, ხან ნაკლები ძალით. მაგრამ, მიუხედავად ერთგვარი „მიღწევისა", რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მანილის კონფერენციაზე მოიპოვეს, განა ცხადი არ არის, რომ ჟენევის თათბირის პოლიტიკურ შედეგებს თავისი მნიშვნელობით ვერ შევადარებთ მანილის კონფერენციის უბადრუკ შედეგებს.

გაზაფხულზე, 1952 წლის მაისში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ზეგავლენით დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს მთავრობებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის შესახებ. მაგრამ 1954 წლის აგვისტოში საფრანგეთის პარლამენტმა უარყო ეს ხელშეკრულება, და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმები ჩაიფუშა. ეს ხელშეკრულება ჩაიფუშა საფრანგეთის პარლამენტში, იმიტომ რომ გამოირკვა მეტად დიდი წინააღმდეგობა ფრანგი ხალხის ნებასა და საფრანგეთის მთავრობის განზრახვებს შორის. როგორ უნდა შევაფასოთ ეს ფაქტი? ყველა საფუძველი არსებობს ვთქვათ, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ჩაშლა იმპერიალისტურ ბანაკში არსებულ დიდ წინააღმდეგობათა შედეგია. მეორე მხრივ, არ შეიძლება აღიარებულ არ იქნას, რომ ეს იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის აგრესიული კურსის ერთ-ერთი დამარცხება.

ამის შემდეგ 1954 წლის 23 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ეგრეთწოდებულ პარიზის შეთანხმებებს, რომლებიც წარმოადგენენ მეორე ცდას მოახდინონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია. საქმე თითქოს მშვიდობიანად მიდიოდა დასასრულისაკენ და ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს უკვე ჰქონდათ იმედი გამარჯვება მოეპოვებინათ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის თავიანთი გეგმის განხორციელების საქმეში. მაგრამ უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის პარლამენტმა კვლავ დაიწყო ყოყმანი, რასაც შეუძლია ახალი სიძნელეები შეუქმნას პარიზის შეთანხმებათა მომხრეებს. ამაზე გავლენას ახდენენ ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობაში მყოფი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ერთ-ერთ უბანზე გამწვავებული წინააღმდეგობანი. უკანასკნელ დღეებში საფრანგეთში მომხდარი ამბები კი, რომლებმაც მთავრობის კრიზისი გამოიწვიეს, მოწმობენ ამერიკის საგარეო პოლიტიკის კურსის კიდევ ერთ დამარცხებას.

შეხედეთ, როგორ აისახა საგარეო პოლიტიკური ამბები ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების დროს 1952 წლის შემოდგომაზე.

როგორც ცნობილია, მაშინ პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც თუმცა გაუბედავი ხმით, მაგრამ მაინც უჭერდა მხარს ეგრეთწოდებულ „განთავისუფლების" პოლიტიკას სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ. „განთავისუფლების" ამ პოლიტიკას რესპუბლიკელები უპირისპირებდნენ დემოკრატიული პარტიის პოლიტიკას, პარტიისა, რომლის უმეტესობა მხარს უჭერდა უფრო ზომიერ საგარეოპოლიტიკურ ხაზს, რომელიც ცნობილია „შეკავების" პოლიტიკის სახელით, თუმცა ორივე ამ პოლიტიკის ხაზის მომხრენი არიან ერთ პარტიაშიც და მეორეშიც.

მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ზედ არჩევნების წინ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა ეიზენჰაუერმა პირობა დადო, რომ ბოლოს მოუღებდა ომს კორეაში, რომელშიც შეერთებული შტატები ჩაებნენ, როცა ხელისუფლებას სათავეში ედგა ტრუმენის დემოკრატიული პარტია. ძირითადად სწორედ ამან გადაწყვიტა პრეზიდენტის არჩევნების ბედი.

პრეზიდენტის არჩევნებში დემოკრატების დამარცხება უნდა აიხსნას არა იმით, რომ დემოკრატები მხარს უჭერდნენ უფრო ზომიერ საგარეოპოლიტიკურ კურსს, არამედ იმით, რომ ისინი პასუხს აგებდნენ კორეის ომისათვის, რომელიც მათ გააჩაღეს. მეორე მხრივ, რესპუბლიკელებმა პრეზიდენტის არჩევნებში იმიტომ კი არ გაიმარჯვეს, რომ მათ გამოაცხადეს საგარეო პოლიტიკის უფრო აგრესიული კურსი, არამედ სწორედ პირიქით, იმის გამო, რომ ფაქტიურად ისინი ერთხანს აღმოჩნდნენ ის პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელს უწყობდა არა აგრესიის განგრძობას კორეაში, არამედ ომის დამთავრებას და მშვიდობის აღდგენას კორეაში.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ წინააღმდეგობაა იმ ბლოკებსა და სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებსაც იმპერიალისტები ქმნიან, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკია ეს თუ რომელიმე სხვა. ყველა ამ დაჯგუფებაში ხან ძლიერდება ახალი ომის გაჩაღების დაჩქარების ტენდენციები, ხან, პირიქით, ძლიერდება საწინააღმდეგო მიმდინარეობანი. თუ ზოგიერთ ქვეყანაში ბრძოლაა ამგვარ ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციებს შორის, მით უფრო პოულობს იგი გამოხატულებას ბლოკების შიგნით და მათ შორისაც კი.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მერყეობა და, რაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, ის მერყეობა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, თავს იჩენს მით უფრო ძლიერ და მით უფრო ხშირად, რაც უფრო ორგანიზებულად და აქტიურად გაჩაღდება ყველა ქვეყანაში სახალხო მოძრაობა მშვიდობისათვის და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისათვის.

მოყვანილი მაგალითები დამახასიათებელია იმ მრავალი წინააღმდეგობისათვის, რომლებიც არის იმპერიალისტურ ბანაკში და გამოხატულებას პოულობს ცალკეულ ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულებით, აგრეთვე ცალკეულ მთავრობათა პოლიტიკით და ცალკეულ პარტიებშიც კი, რომლებიც იძულებული არიან რაიმე სახით გაუწიონ ანგარიში არა მარტო მილიონერთა და მილიარდერთა ნებას, არამედ ამომრჩეველთა ფართო წრეების საზოგადოებრივ აზრსაც.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკას არ შეუძლია არ გაითვალისწინოს, რომ მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა არსებობს როგორც ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ისე ამ ქვეყნების შიგნით და იმ ცალკეულ პარტიებს შიგნითაც კი, რომლებიც კაპიტალისტურ კლასებსა და ჯგუფებს ეკუთვნიან. ჩვენი ამოცანაა გამოვიყენოთ ეს წინააღმდეგობანი მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების ინტერესებისათვის, აგრესიული ანტიდემოკრატიული ძალების დასუსტების ინტერესებისათვის.

## V. ჩვენი მთავარი ამოცანაა მშვიდობის განმტკიცება

ჩვენს, მტკიცე მშვიდობის მომხრეებსა, და ჩვენს მოწინააღმდეგეებს შორის ღრმა ზღვარია.

ჩვენი მოწინააღმდეგენი გამალებულ შეიარაღებას ეწევიან. ისინი ჩაებღაუჭნენ ამას იმ იმედით, რომ განამტკიცონ თავიანთი პოლიტიკური ბანაკი, ხოლო ნამდვილად ეს იწვევს მათი ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების აუცილებელ დასუსტებასა და ძირის გამოთხრას.

საბჭოთა კავშირი გამალებულ შეიარაღებას უპირისპირებს თავის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და თავის წინადადებებს იმის შესახებ, რომ არსებითად შემცირდეს მთელი შეიარაღება და აუცილებლად აიკრძალოს ატომური იარაღი, ამასთან ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი დაწესდეს როგორც შეიარაღების შემცირებისადმი, ისე ატომური და მასობრივი მოსპობის ყოველგვარი სხვა იარაღის აკრძალვისადმი.

ჩვენი მოწინააღმდეგენი აშკარად ამზადებენ ახალ ომს და ამ უკანასკნელ ხანს გააჩაღეს პროპაგანდისტული ლაქლაქი იმის შესახებ, რომ საჭიროა სწორედ ატომური ომის მომზადება. მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ მიაღწევენ იმას, რომ თუნდაც მათმა ხალხებმა მოიწონონ ეს აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც უარყოფენ არა მარტო ხალხთა ფართო მასები, არამედ შეძლებული კლასების უფრო ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილიც. თავიანთი პოლიტიკის ასეთი კურსით ისინი მხოლოდ იმას მიაღწევენ, რომ ზოგიერთი განსაკუთრებით მყვირალა მათი სახელმწიფო მოღვაწე წინასწარვე გაიტეხს სახელს საკუთარ ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც.

საბჭოთა კავშირი ატომის საკითხშიც საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას.

საბჭოთა მთავრობამ უკვე მიმართა შეერთებული შტატების მთავრობას წინადადებით დაუყოვნებლივ დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოყენებაზე უარის შესახებ და იმის შესახებ, რომ ატომის ენერგია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის იქნას გამოყენებული. საბჭოთა კავშირი მთელი მზადყოფნით უჭერს მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამასწინანდელ წინადადებებსაც იმის შესახებ, რომ ყველა ქვეყანაში მოისპოს ატომური იარაღის მარაგი, რათა მთელი მსოფლიოს ხალხები დარწმუნებული იყვნენ, რომ არასოდეს არ იქნება ატომური ომი. სწორედ ამიტომ იჩენს საბჭოთა კავშირი ასეთ მზადყოფნასა და აქტივობას იმისათვის, რომ მოწვეულ იქნას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენცია. ჩვენ ვთავაზობთ შეერთებულ შტატებს შევეჯიბრონ არა ატომური იარაღის წარმოებაში, არამედ ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საქმეში. **(ტაში).**

ჩვენი მოწინააღმდეგენი გაჰყვირიან „ძალის პოზიციის" პოლიტიკაზე. ისინი ნერვიულობენ და ამასთან ერთად გვაშინებენ. ისინი მიმართავენ მუქარასა და შანტაჟს, მხედველობაში ჰყავთ რა სუსტნერვებიანი და მერყევი ადამიანები.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ვინც ასეთ უვარგის საშუალებებს იყენებს საბჭოთა ხალხის მიმართ, დანამდვილებით მოტყუვდება ანგარიშში. მათ უნდა იცოდნენ, რომ თუ საჭირო იქნება, ჩვენ შევძლებთ საკადრისი პასუხის გაცემას. **(ხანგრძლივი ტაში).**

დროა შეიგნონ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ძალთა თანაფარდობაში მდგომარეობა უკვე სავსებით გარკვეულია.

თუ შევადარებთ საბჭოთა კავშირს მთელი მისი ადამიანთა ძალებით, მისი უდიდესი მატერიალური რესურსებით, ყველა გარეშე მოკავშირით, — და ამასთან გავითვალისწინებთ იმას, რომ მშვიდობის პოლიტიკას მორალურად და პოლიტიკურად მხარს უჭერენ სხვა ქვეყნების ხალხთა მასები, — თუ, მაშასადამე, შევადარებთ საბჭოთა კავშირს ისეთს, როგორიც იგი უკვე ახლა არის, ამერიკის შეერთებულ შტატებს, და თუ ამ ქვეყანასაც ავიღებთ ყველა ზემოაღნიშნული მონაცემით, ცხადი გახდება, რომ საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებზე სუსტი არ არის. **(მქუხარე ტაში, რომელიც დიდხანს არ ცხრება).**

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საბჭოთა კავშირის მხარეზეა ის უდავო უპირატესობა შეერთებული შტატების წინაშე, რომ მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირი არავის არ ემუქრება და არ ერევა სხვა სახელმწიფოების საქმეებში, მაგრამ იცავს ნამდვილად მართალ და სამართლიან საქმეს, რომელსაც მხურვალედ თანაუგრძნობენ მთელი მსოფლიოს მშრომელები და ყველა ჩაგრული ხალხი და რომელმაც არ შეიძლება არ გაიმარჯვოს. **(მქუხარე ტაში).**

რას მოითხოვს საბჭოთა კავშირი?

ჩვენ მოვითხოვთ იმას, რომ არ მიმართავდნენ მუქარისა და შანტაჟის პოლიტიკას არც ერთი, არც მეორე მხრიდან. ამას კარგი არაფერი არ მოჰყვება.

უფრო მეტიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის მხარე, რომელიც ნამდვილად დარწმუნებულია თავის ძალებში, მხარს არ დაუჭერს ომს, ეს არ ესაჭიროება იმათ, ვისაც სწამს თავისი ძალები, ვისაც სწამს თავისი მომავალი.

ყოველი ავანტიურა და ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება აუცილებლად ცუდად დამთავრდება აგრესორისათვის, იმიტომ რომ ახლა უკვე ასობით მილიონმა ადამიანმა მიაღწია შეგნებულობის ისეთ დონეს, როცა ისინი ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სავსებით დარწმუნებული თავიანთ საქმის სიმართლეში, ბოლომდე იბრძოლებენ ასეთი დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ.

დაიღუპება არა „მსოფლიო ცივილიზაცია", რამდენი ზიანიც უნდა მიაყენოს მას ახალმა აგრესიამ, არამედ დაიღუპება დრომოჭმული, უკვე გახრწნილი საზოგადოებრივი სისტემა სისხლით გაჟღენთილი თავისი იმპერიალისტური საფუძვლით, სისტემა, რომელსაც გმობენ მისი აგრესიულობისათვის და უარყოფენ მშრომელთა და ჩაგრულ ხალხთა ექსპლოატაციისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს. ჩვენ ვიცავთ ამ პრინციპებს და გვსურს, რომ ხალხები ცხოვრობდნენ მშვიდობასა და სიმშვიდეში.

ჩვენ ვიცავთ ამ პრინციპებს, რადგან თანაარსებობის პირობებში სრული შესაძლებლობაა, რომ მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას ხალხთა მშვიდობაც და თავისუფლებაც, ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობაც და კაცობრიობის პროგრესის შემდგომი წარმატებებიც.

ჩვენ ვიცავთ თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს და ვიცავთ ამ პრინციპებს იმიტომ, რომ ჩვენ გვწამს სოციალიზმის ძალები და ის, რომ ავირჩიეთ სწორი გზა კომუნიზმისაკენ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

რედაქტორის მოადგილე რ. ჭურციკიძე.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოს — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-51-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ფ. 6

უე 00127

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.